საქართველოს ფინანსთა მინისტრის

ბრძანება №241

2012 წლის 11 ივლისი

ქ. თბილისი

საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის (სეს ესნ) დამტკიცების თაობაზე

საქართველოს საგადასახადო კოდექსის მე-2 მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე, **ვბრძანებ:**

მუხლი 1. დამტკიცდეს თანდართული „საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურა (სეს ესნ)" დანართთან ერთად.

მუხლი 2. ამ ბრძანების ამოქმედებისთანავე ძალადაკარგულად გამოცხადდეს „საგარეო- ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის (სეს ესნ) დამტკიცების თაობაზე" საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №995 ბრძანება.

მუხლი 3. ეს ბრძანება ამოქმედდეს 2012 წლის 15 ივლისიდან.

დ. გვინდაძე